

გაზეთის ფასი:

გაზეთის, გაზეთის ფასი

ერთი წლისა	— 6 მან. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევრის წლისა	3 „ „	2 „ „
სამ-ს თვისა	— 1 „ 75	1 „ 50
ერთი თვისა	— „ „ 60	„ „ 50
ცალკე ნომრის	— „ „ 12	„ „ 10



დროება

ხელის-მძარევა

მიიღება თ ფ ი ლ ი ს შ ი: «დროების» რედაქციის კანტორაში (გ. წყნეთის და ამხ. სტამბაში, ბუთოთაის სასახლეში).

ქუთაისში: გუბერნიის კანტორის რედაქციის (სასულიერო სასწავლებელში).

გარეუკუნე მისთვის შეიძლება ადრესით უნდა გამოგზავნონ მოათხოვნილება: *Во Тифлисе. Во конторе редакциі газеты ВРЕМЯ при типографіи Г. Церетели.*

გამოდის კვირში ერთხელ, ზარბაზნით.

საბოლოო და სალიტერატურო გაზეთი

ქალაქი მერეა

შინაარსი:

საფრანგეთი 1873 წელს. — «დროებას» კორესპონდენცია: კათოლიკე სასწავლებლებზე. — უნეთი: წერილი ამბები. — უცხო ქვეყნებში: საფრანგეთი — ზარბაზნად (დროებას კორესპ.) სამართალი: უ. უ. ნოვოვლესკის და ნიკოლაძის საქმე. — ნარკვევა. ფელტონი: სურათი ჩვენს ხალხს ცნობებიდან — რაფაელ ერისთავისა.

საფრანგეთი 1872 წელს

წარსულის ხსენების წინათ ნაციონალური კრების მთელი საფრანგეთი იმ აზრზე იდგა, რომ ტერიტორია და რესპუბლიკელებმა დაამარცხეს და დაცეს მონარქიის პარტიები, რომ მონარქიელებს აზრშია აღარ მოუფათ დაიწყონ ახალი ბრძოლა მმართველობასთან. ამ აზრს იმითი უფრო ამტკიცებდნენ, რომ ბურჟუაზიის და ორლიანების შუა ვერ მოხდა მორიგება; ამ დინასტიების წარმომადგენლებს — შამპორსა და ორლიანის პრინციებს. — ჰქონდათ იმაზე ლაპარაკი, ვის უნდა ეკუთვნოდეს საფრანგეთის ტახტი და გვირგვინი, რომელი ამათგანი უფრო კანონიერი ხელმწიფე იქნებოდა. რასაკვირველია, რომ თითოეულ ამათგანს სურდა ხელში ჩაეგდო მმართველობა, ყველა ამათგანი ცდილობდა დემოკრატებისა ხალხისთვის, რომ ის არის კანონიერი მფე და მფლობელი საფრანგეთი-

სა. ზოგიერთ მონარქიელებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ მონარქიელებს ამ ორ დინასტიის წარმომადგენლებს, მაგრამ შემდეგ დიდის ცდისა ვერას გზით ვერ შეიძლეს ამ აზრის ასრულება.

რამდენიმე დღის წინათ, მინამ დაიწყებოდა სხდომა, შამპორმა გამოსცა თავისი პროკლამაცია თავის მომხრე ლეგიტიმისტებთან მიმართული, რომელშიც თავის პარტიას არწმუნებდა და არიგებდა, როგორ უნდა მოქცეულიყო და რა უმთავრესი მიზანი უნდა ჰქონოდა იმას თავის მოქმედებაში; ის ურჩევდა, რომ იმით შეერდნათ ერთი მკვიდრი პარტია, რომელიც უნდა ცდილიყო ჩამოერთვა ტერიტორიის მმართველობა და ეწინააღმდეგა ყველა რეფორმაში, რომელსაც მოინდომებდნენ რესპუბლიკელები რესპუბლიკის დამყარებისათვის ამ შამპორის პროკლამაციას ყურადღება არაეინ მიჰქცია, არ ეგონათ, რომ ამ პროკლამაციას ექნება ისეთი ფრიალი გაეღვნა მონარქიელებზე.

როცა ტერიტორია წაიკითხა თავისი ეპისტოლე, რომელშიც გამოაცხადა აზრი მმართველობის ფორმის, რესპუბლიკა საფრანგეთში დაწესებულია და ამ საგანზე არა ლაპარაკი აღარ არის საჭირო, მაშინ მარჯვენა მხარემ გამოაჩინა თავისი ძალა, უარყო ტერიტორიის თხოვნა და მოინდომა შემცირება პრეზიდენტის უფლებისა, პრეზიდენტის ძალისა პასუხმგებელ მინისტრებით. პრეზიდენტი იდგა დიდს უარზე, ის ნათლად ხედავდა, რომ

მთელი ძალა, რომელიც იმას ხელში ეკავა, წაერთმევა და გადაე მარჯვენა მხარეს; ის იძახდა, რომ მე არა მსურს ვიყო უბრალო შაგირდი და ბრძანების აღმსრულებელი, მე მსურს, რომ ვიყო თავისუფალი ჩემს მოქმედებაში. მაგრამ მარჯვენა მხარემ ძირველ მტკიცედ დააბრუნა ფეხი და არ უნდოდა თავის აზრები შეეცვალა. იმას არ აზინებდა ტერიტორიის დამუქრება, რომ პრეზიდენტობიდან გადადგებოდა; ჩვენ შუა განხეთქილება, რომ მოხდეს, პრუსიელები გაერევიან ჩვენს შინაურს საქმეებში. იმით მოითხოვეს, რომ ნაციონალურ კრებას განეხილა დაუყოვნებლად მინისტრების პასუხ-მგებლობა. — ამ საქმეში მარჯვენა მხარემ გაიმარჯვა; ამოირჩიეს კომისია, კერძოდ რის წინადადებით, რომელსაც მიენდო ამ საქმის გარჩევა. ტერიტორია არ მოელოდა ამ გვარ წინააღმდეგობას მონარქიელებისაგან; იმას ეგონა, რომ იმის ძველი ამხანაგები — ორლიანისტები არ უმტყუნებენ, არ მოინდომებენ იმის დაცემას; იმას ეგონა, რომ ორლიანისტებს იმდენი ნდობა და პატივი ექნებოდათ იმისი, რომ არ მიუდგებენ ლეგიტიმისტების მხარეს, და არ მიუდგებიან იმით. გარემოებამ ტერიტორია ჩააგდო ცუდს მოგომარებაში და არ იცოდა, როგორ გამოემართა ამ უბედურობიდან, ამ განსაცდელიდან.

დადგა კრიზისი, როგორც ტერიტორიის პოლიტიკაში, ისე ბირჟაზე. ტერიტორია ცდილობდა, რომ როგორმე აეხსნა, რა მნიშვნელობა და რა მიზანი ჰქონდა იმის პირველ სიტყვას: ის

აჯერებდა მარჯვენა მხარეს, რომ იმას სრულიად არ სურდა წარმოეთქვა რომ საფრანგეთში რესპუბლიკა დამყარდოდა და დაწესდა, ის იძახდა, რომ ჩემი აზრით ახლანდელი საფრანგეთის მდგომარეობა მოითხოვს რესპუბლიკური ფორმას. მაგრამ ტერიტორიის გასამართლებელი სიტყვას ყურადღება არაეინ მისცა. მარჯვენა მხარე ეძებდა მიზეზს, რომ გამოეცხადოს ომი მმართველობას; იმისთვის სულელი იყო, ვინ წარმოუდგენდა ამ გვარ მიზეზს თვითონ ტერიტორია და თუ სხვა რომელიმე მმართველობის წევრი. როცა სხვა გზით ვერ მოარჩია ტერიტორია მარჯვენა მხარესთან, მაშინ იმან დაუწყო ალერსი, გამოუყენა დიფფორი, რომელსაც წარმოე თქვა ისეთი სიტყვა, რომ მოიყვანა ალტაცებაში მთელი მარჯვენა მხარე. იმის წინადადებით, კრებამ ამოირჩია ახალი კომისია, რომელსაც არ ჰქონდა ისეთი სპეციალური დანიშნულება და შეეწირებოდა პროგრამა, როგორც კერძოდ რისას. ამ კომისიას უნდა განხილვა სხვა და სხვა კონსტიტუციური რეფორმები. კომისია შესდგება 30 კაცისაგან; ამათში 20 მარჯვენა მხარეს ეკუთვნის და 10 მარცხენას. რასაკვირველია, ამისაგან საფრანგეთი ბევრს კარს ვერ მოელოს.

ჩვენი გაზეთის მკითხველებსა შეეატყობინეთ ამას წინათ, რომ ტერიტორია თავისი წინადადება ე. ი ხემა პალატის დაწესება გაიყვანა ამ კომისიისაში. ზოგიერთს ჰგონია, რომ ეს არის დასაწყისი ტერიტორიის და მარჯვენა მხარე

ფელტონი

სურათი
ჩვენს ხალხს ცნობებიდან
I
რკინის გზაზე
(სურათი წარმოდგენს სამიკატროს სოფელს ბუკაეთისაში; დოკუმენტი მსწერებს აკეთებს. სამიკატროს წინ დგანს რამდენიმე გლეხი-კაცები.)
იმერელი გლეხი (ქართველ გლეხს ეუბნება დოკუმენტი):
რაე აფხაზეთი გაჰყავა ე ოჯახ დაფსებულის გაკეთებული...

ქართელი გლეხი (უბუნი სელები ჩაუწვია და იმერელს ეუბნება):
აფხაზეთი კი არა, შეილო, თქვენებური მოტირალით გაჰყავა.
იმერელი გლეხი
შიგ არა მჯდარხარ ჯერ?
ქართელი გლეხი
ღმერთი გაატალეებს, მე მაგაში არ ჩაეჯდ...
იმერელი გლეხი
რატომ, შე კაცო?

ქართელი გლეხი
რატომ და, იმიტომ რომ... ყვირილზე მინდოდა წასვლა... სურამში მივედი. ტანციაში ფურგონი, იმაში ჩავეყარეს შეიდი-რეა კაცი ერთათ და ისე კი გამთქვიფა, ი ოხერმა, მანამ აქ ჩამოვიდოდით, როგორც მაწონი!... მერე ვიფიქრე, ამას იქით, თუ კი-დენ წაველ მეტი, სულს ვეღარ ჩაეწვე მე-თქი — და აქ დავჩი...
იმერელი
აწი, რაეა აპირთ?
ქართელი
როგორ უნდა ვაპირობდე... დაუჯდები ჩვენებურ ურემზე და შემოემხებ: ალზევანს მივალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო... და სალამომდინ შინ გრიალს მიეატანინებ!...

II
ნატვრა
თავადი ზარბაზნის სახლში აჩიან შეყრდნის დასახლები თავადნი: თვითონ სახლის პატრონი ოთარ ზარბაზნი. გრიგოლ ფუქსკატისევი, სვიმონ დუდეკოპი, ანდრია ჭორიატუჭუნი (მეტი სახელწოდება) და ნინო სეკსელი. — ზო-

გნი ამათგანი ტატსეად აჩიან წამოწალიდნი მუთაქსეად და სახლისან ამთხარებუნ, ზოგნი მუსელ-მოკევიდნი სსეად; ოთარ ზარბაზნი მუთაქს ჩაუჯავა კალთაში, სეად დაჭყენია და ჩაფიქრებულა.
ოთარ ზარბაზნი (თათქას გამოფხიზდდაო)
ნეტავი ერთი მილიონი მომცა!...
გრიგოლ ფუქსკატისევი.
მერე?... რას იქმოდ?
ოთარ ზარბაზნი.
რას ექმოდ?... ჯერ მამე და მერე გეტყვი.
გრიგოლ ფუქსკატისევი.
ჩოოში მილიონი მქონდეს, თორემ შენ კი არ მოგცემდი!
სვიმონ დაუდეგარაძე (ოთარს)
თქვი, რადა; რას იქმოდ, მილიონი რომ გქონდეს?
ოთარ ზარბაზნი.
რას ექმოდ-და, სულ ყოველდღე მარო-ეინასა ექმადი...
გრიგოლ ფუქსკატისევი.
აკი გითხარ ჩოოში-მეთქი!... არა, შე ოხერო, მაგისთვის მილიონს როგორღა ნატ-

რობდი?... რე შინა გაქვს და თოელი აგერ გარეთ არის.
ოთარ ზარბაზნი.
შაქარი, შეილო?
გრიგოლ ფუქსკატისევი.
მერე, რა ბევრი შაქარი უნდა?... ერთი თაეი შაქარი სულ თავსა ღდის.
ნინიკო ხევესელი.
ნეტავი მილიონი მამცა, თორემ მარო-ეინას თუნდა თვალითაც არ დავინახადი...
ანდრია ჭორიატუჭუნი.
მა რას იქმოდ?
ნინიკო ხევესელი.
რას ექმოდ-და, ვიყიდი კი ყარაბაღის ცხენებს, კარგს თოფ-იარაღს, გაეინდო კი ქორ-მეძებრებს, ჯოგებს, კი სახლს აეაშენებდი, ნათესავებს ასას თუმანს ვაჩუქებდი და მე ხან იქით გაუტყევი და ხან აქეთ!...
ანდრია ჭორიატუჭუნი
მე ერთ ალაგას ხაზინა მითხრეს დაფლუ-ლი... თამარ მეფის დროს არისო დაფლუ-ლიო... მგონია, ხუთი მილიონიც იყოს... თუ მივაგენ!...
ნინიკო ხევესელი.
ხუთი მილიონი კი არა...

რის მოტივებისაო. ჩვენის აზრით, როგორც წინავე გამოვსთქვით, ზემო პალატას არ ექნება დიდი მნიშვნელობა. ამ პალატას, რომელიც უნდა შესდგეს იმ წევრებისაგან, რომელნიც იქნებიან ამორჩეულნი დებარტამენტის რჩევით, ექნება ის უმთავრესი დანიშნულება, ტიერის აზრით, რომ კრება ვერ გაბედავს შესცვალოს მართებლობის ფორმა და მეორეთ რომ ეს პალატა იქნება რაღაც შუათანა ძველ და ახალ კრების შუა; მაშინ კრების შეცვლას, იმის ახალი მიმართულებას არ ექნება ისე ჩქარი და მსწრაფი გავლენა მმართველობის პროგრამაზე. — ამ დანიშნულებას უფრო უკეთ არ აასრულებდა ის წინადადება, რომელიც წარუდგინეს რესპუბლიკელებმა: ნაწილ ნაწილათ განახლებულიყო კრება?

განა საფრანგეთში ხალხმა დაკარგა იმდენი გრძნობა, რომ ვერ გაურჩევია კარგი ავისაგან, განა ხალხმა არ გამოაჩინა თავისისურვილი, რომ ტიერი აქამდისინ ორწკალ-შუა და არ იცის, რომელ მხარეს დაენდოს? მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ტიერს ნამდვილ რესპუბლიკელებისა, რადიკალების- უფრო ეშინია, ვინემც მონარხიელებისა; იმას ეშინია იმისი, რომ რადიკალური რესპუბლიკელებმა არ ჩაიგდონ ხელში მმართველობა.

საფრანგეთში საქმეები ამ გვარ გარდაუწყვეტელ მდგომარეობაში ბევრი ხანი ვერ გასწევნენ, დღეს ანუ ხვალ დამყარდება ნამდვილი რესპუბლიკა.

მართლათაც, რესპუბლიკელებს, გარდა, სხვა პარტიები ვერა ჰპოვებენ ხალხში საკმარის თანა გრძნობას. მამბორის მომხრეებისა ხალხს ეშინია და სძულს, იმას ჰგონია, მამბორი რომ დაჯდეს ტახტზე, წაერთმევთ მიწები და შემოვა ფეოდალიური მფლობელობა თავის ბატონებით. ორლიანისტებმა თვითონვე შეიმოკლეს თავის სიცოცხლის დღეები, თვითონვე მოინდომეს მეგობრობა ხალხის დამღუპველებთან-ბონაპარტიელებთან ბურჟუაზია, რომელსაც ეჭირა იმითი მხარე და რომელიც სთვლიდა ორლიანისტებს პატიოსან ხალხათ, ვადუღდა იმათ. ამ გვარად დარჩნენ მხოლოდ რესპუბლიკის მომხრენი.

«დროების» კორიქისპონდენცია

კათოლიკების სსწავლებლებზე.

აგერ იქნება შეიდი წელიწადი, რაც მე ქუ-

თაისში განლაგარ, და თვალს ვადევნებ აქაურ ჩვენს სამრევლო სასწავლებელის მმართველს. მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, ჩემს ქუთაისში მყოფობაში არ შემინიშნავს, რომ როგორც ამ სკოლის მმართველებისაგან შესაძლებელია, იქეთი ყურადღება მიექციოთ, და რამე წარმატება ექნათ. და რასაკვირველია, როგორც რომ მსურველი ჩვენი სამშობლოს კეთილ-დღეობისა, ვიყავ და ვარ უკმაყოფილო ამ გვარი მძინარა და თითქმის მკედარი ჩვენი კათოლიკების საზოგადოებისა.

მე მსურს დაწვრილებით გიამბოთ ჩემი შენიშვნა აქაურ საზოგადოებაზე, შესახებ სკოლის მართვისა; მაგრამ ჯერ სჯობიან იმ დიდი ქალაქის საზოგადოებაზე ვილაპარაკოთ, რომელიც შესდგება უფრო განათლებულ პირთაგან, რომელთაც ჰყავთ ამორჩეულნი თავიანთი წარმომადგენელნი, უფრო შესმენილი პირები (მათ უფროსები) *, პრელატი, რომელიც როგორც შევიტყე, საზოგადოებას გაუთავისუფლებია შინაგან საქმეებზე მხარუველობისაგან, ეკლესიის და მრევლის წინამძღოლო (настоятель), რომელნიმე ამისი თანა-შემწეები (Высшие священники), ერთის სიტყვით, იმისთანა საზოგადოებაზე, რომელსაც უფრო მომეტებულათ ესმის თავის და საზოგადო ვალი.

დეკემბრის ცხრას, რკინის გზის სიადელით, თფილისში ჩამოვიყვინე და ჩამოვხტი აქაურ აკაკაზის გოსტინიცაში. მეორე დღეს, როგორც მოგხსენებთ უცხო კაცის ამბავი, რადგანაც არაერთა მყავდა თფილისში დაახლოებული ნაცნობი, და არც არაფერი საქმე მქონდა, წავედი ეკლესიაში, და რასაკვირველია, როგორც მოლოდინე ზემოთ ხსენებულ შესმენილი საზოგადოებისა, იმედი მქონდა მენახა ყველაფერი თავის რიგზე. შევედი ეკლესიაში, დაეწვიე პირველად, მივიხედ-მოვიხედე და რას ნახამ! — ეკლესია მოსვრილი, უკაცრავათ განლაგარ, ტალახით, იატაკი აგებული ოღრო-ოღრო აფურებიტა, ტრაპეზები მტვრით გავსებული, და ეკლესია აფებული დიდი თფილისის განათლებული კათოლიკების საზოგადოებითა! პატარა დავა-ცალი; ვნახოთ, შემოვიდა ეკლესიაში ერთი ახალგაზდა მალალი, გამოპრანჭული ლამაზ-ლაშაში პატრი, წინ წაუძღვა ერთი უშნო

*) მისი-უფროსებს ეკისრან იმ პირებს, რომელნიც ამორჩეულნი არიან საზოგადოებისაგან ეკლესიების და სსწავლებლების მმართველისთვის.

და ულაზათო შევიცარი და შევიდა ხორანში. ჩემს გვერდით ერთი ახალგაზდა კაცი იდგა და იმას ვკითხე: ეს პატრი, ესლა რომ შემოვიდა, ვინ არის, მეთქი? იმან მიპასუხა: ეგ არის ნემეცის პატრი! აქაური ქეკლესიის და მრევლის წინამძღოლო (ბაროხიო). ასეთი განათლებული არისო, რომ სულ დიდ კაცებში დაიარებო და არც კი ვისმეს იცნობს დაბალი საზოგადოებისასო. ამას ეტყობოდა ექარი უნდა ყოფილიყო. შევიდა, შემოსა, შედგა, ტრაპეზზე, დაიწყო წირვა, და დიდის ტანში ნტვრევით, და ორლანოზე პოლშური გალობით. გამოსწირა წირვა. ვთქვი: მაშ ეს პოლშელების ეკლესია იქნება, მეთქი. დაეწვიე პირს-ჯვარი, გამოვედი გარეთ და დაუწყე გამომაგალ ხალხს ცქერა. ამ გამომაგალ ხალხში დაეინახე ერთი ჩემი ნაცნობი კაცი, მივიჩქარე იმასთან, სალამი მივე და ვკითხე: ქართული კათოლიკების ეკლესია სად არის, მეთქი? ამან ვაციინა და მითხრა, — ი ეს არისო. მაშ პოლშურათ რათ იგალობეს, მეთქი? ამან მიპასუხა: — შენ იქაურებისას ვერას გაიგეფო, რომელ პატრს რომელ ენაზედაც უნდა, ისე აგალობესო. მოვიხედე ეკლესიის კარებისაკენ, ვნახოთ გამოდინა წყვილ-წყვილთ დაწვობილნი ყმაწვილები, ჯერ ვაყები, რომელთაც თავიანთი ზედამხედველი გამოჰყავდა და მერმე ქალები ესევე დაწვობილი, ესენიც თავიანთი ზედამხედველით. ამ ყმაწვილების დანახვამ, რომელნიც იქნებოდნენ სამოცამდის ქალი და ვაჟი, ისეთალტაცებაში მომიყვანა და ისე მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომ ეს ჩემი მეგობარი დამეიწყდა, ამათი ეკლესიაცა, მტვრიანი ტრაპეზებიცა, პოლშური გალობაცა, პატრის ტანში ნტვრევიცა და ერთის სიტყვით, ყველა, რაც მე ამ ეკლესიაში შევნიშნე. ვადევნე ამ ყმაწვილებს თვალი, — ვაყებმა მარცხნივ შეუხიეს და პირ-და-პირ კარებში შევიდნენ, ქალები კი ეკლესიის ეზოდან გავიდნენ და ისინიც მარცხნივ წაიყვანეს.

შემდეგ ვთქვი, ჯერ აღრეა შინ წასვლა და მოდი პატარას გავიედი, მეთქი. ვაწვიე ბულერისაკენ და ვიძახე ჩემ გულში: ეს ძალიან კარგია ამდენი ყმაწვილების კრება, მაგრამ, თუ ამათაც იმისთანა ყურადღებას აქცევენ, როგორც რომ ეკლესიას, მაშინაც შევნიშნე რება ექნება მეთქი. ვაგია-გამოვიარე, და დავინახე ისევე ჩემი ნაცნობი კაცი. გამოვეციდე იმას, დაეწვიე და უთხარი: ესლა კი გეტყვი მეთქი, ძმაო, გამარჯობას. როგორც

ეტყობა, რიგიანი სკოლები უნდა გქონდეთ, მეთქი. ამას სკოლები გავახსენე თუ არა, ერთი კი გამოიძინა და მერმე გულ-ამოხვრით მითხრა: ერთიც შენ აკლდი ჩვენ სკოლებს დასაცინავათო! ვაი, გამოწყრა ღმერთი, ჩემ გულში ვიძახი! როგორ გასაცინავათა, მეთქი? ამან დამიწყა: — განა შეგეძლიან იმოდენა შეძლებისა და საშუალობის შეხედვით, როგორი საშუალებაც თფილისშია, ვთქვათ თუ სკოლები გე აქციო! შენ რც, თურ-გარი, არამც თუ სკოლები, არამედ პროგინაზიებიც შეიძლება გაიმართოს, რომ თავში გულ მომტყენე, შესმენილი და ენერჯის პირები გვიდგნენ და ესმოდეთ, თუ როგორ უნდა მმართონ და რაში უნდა მოიხმარონ იმოდენა ფულების სარგებელი და ღუქების შემოსავალი?

— ეკლესიას აქვს ბანკში ქობის ფული რომოდენიმე ათასი თუმანი, რომლიდგანაც სარგებელი შემოსდის. აქვს რომოდენიმე ღუქნები და მალაზიები, რომლიდგანაც სამას-ათხასი თუმანი შემოსდის. ამოდენა მდიდარი ხალხი ჩვენ საზოგადოებაში ურევია, რომელნიც თუ საქმეს კარგათ დაინახვენ და თუ საჭიროება მოითხოვს, ყველანი დაეხმარებიან და ისე უგზო-უკვლიათ აბნევენ ამ ფულების სარგებელსა და მამულების შემოსავალს, რომ სკოლებს თვეში ხუთი თუმნის მეტს (რომლიდანაც ოცდა ხუთი მანეთი ქალების და ოცდა ხუთი ვაჭების მასწავლებლებს ეძლევათ), არ ახმარებენო!

— რათა, მე შევიტყე, მეთქი რომ თქვენ შესწავებული და უფრო დიდი ენერჯის პირები გყოლიათ ამორჩეულნი ეკლესიისა და სკოლების მმართველათა და თანაც თვითონ ეკლესიის ბაროხი ძალიან გულმომტყენე-შრომის მოყვარე, ერთგული და განათლებული პირი არისო?

— დახ როგორ არა, თავიანთი მოქმედებითაც ამტკიცებენ, რომ ძალიან ესმით ამთ განათლება და სინიდიანათ ასრულებენ თავიანთს და საზოგადო ვალსაო! — განა რომ შეიკრიბებიან მონასტრში ვითომ საქმისათვის, მაგრამ სხვა და სხვა კორებს რომ თხზავენ, განათლების ნიშანი არ არის! რომ დასხდებიან და მარტოკა შემოსავალსა და გასავალს რომ ანგარიშობენ, საქმე არ არის! განათლების ნიშანი არ არის, სკოლებს რომ წელიწადში ერთხელაც არ დახედვენ! განათლების ნიშანი არ არის, მასწავლებლებს და ყმაწვილებს ხალხის გახსნისა და პატივისცემის მაგიერათ, ფინთათ რომ შებღვერიან

ან დ რ ი ა ქ ო რ ი ა ტ ყ ა ქ უ ნ ე.
მამა არ წამიწყდეს, ხუთი არისო.
ნ ი ნ ი კ ო ხ ე ვ ს ე ლ ი.
რო იზოვო, რას უხამ?
ან დ რ ი ა ქ ო რ ი ა ტ ყ ა ქ უ ნ ე.
... შე ვიცოდი, რასაც უხამდი.
ნ ი ნ ი კ ო ხ ე ვ ს ე ლ ი.
რასა?
ან დ რ ი ა ქ ო რ ი ა ტ ყ ა ქ უ ნ ე.
რასა და, ჯერ საცა ძველი ეკლესიებია, იმათ გავამშვენებდები, მერმე ზოგს იერუსალემში გავგზავნიდი და ზოგს მე მოვიხმარებდი.
გ რ ი გ ო ლ ფ უ ქ ს ა ვ ა ტ ი შ ე ი ლ ი.
მე არას მანუქებდი?
ან დ რ ი ა ქ ო რ ი ა ტ ყ ა ქ უ ნ ე.
როგორ არა!... ათი ათას თუმანს შენ მოგცემდი.
გ რ ი გ ო ლ ფ უ ქ ს ა ვ ა ტ ი შ ე ი ლ ი.
ათი ათასი არ მინდა, ნეტავი ათასი თუმანი მომცა, თორემ...
(ამდროს შემოვა სწრაფი მქონიანტი)
ო თ ა რ ზ ა რ მ ა ც ა ძ ე. (სწრაფას)

ჰო. სარქის არაქელიჩ! მობძანდი... სადა ხარ, სად დავეკარგე?
ს ა რ ქ ი ს მ ე ქ ო ნ ი ა ნ ც ი.
მე კი არ დავიკარგე, შენა ხარ დაკარგული, რომ სულ ტყეში... ვმეხა შერები, კურტყელებს დასდე... ჯერ ათჯერ მოესულვარ, კნიაზის მხემ, ღუქანი გამიშვია და შინ ვერა ვნახე... ამბობენ თუ, სანადიროთ წაბძანდაო... ახარ, ტყეში, რა იხტილათია, გვლებთან?!... ორთაქალას რომ წასულიყავ, ბაღში, — კიდენ ჰო...
ო თ ა რ ზ ა რ მ ა ც ა ძ ე.
ორთაქალაში რაღაა?..
ს ა რ ქ ი ს მ ე ქ ო ნ ი ა ნ ც ი.
ორთაქალაში?... ორთაქალაში ჩარხების ქრიალი, კი თარფები, ცოცხალი ქანარი, ზურნა თავის თამქაშით!...
ვა, ვა!.. ლაზათი არ არის?...
ო თ ა რ ზ ა რ მ ა ც ა ძ ე.
დაჯექ, ვაჟო, რას ტრიალებ?
ს ა რ ქ ი ს მ ე ქ ო ნ ი ა ნ ც ი.
კნიაზის მხემ არა მცალიან?... მატყლის ცალეებს ვისტუმრებ ფოთში... ეხლაც იმისთვის მოვსულვარ, ეგება ჩემი ფული მომცე, ძა-

ლიან საქიროა, შეფურგუნებს უნდა მიეცე.
ო თ ა რ ზ ა რ მ ა ც ა ძ ე
ჯერ დაჯექ, ვაჟო?
ს ა რ ქ ი ს მ ე ქ ო ნ ი ა ნ ც ი!
თქვენ რომ ზინხართ, რა ხეირი გამოდის?..
ო თ ა რ ზ ა რ მ ა ც ა ძ ე.
ჩვენ ესხედართ და ვნატრობთ... აი, ამან, (გრიგოლ ფუქსატიშვილზე ამბობს) ათასი თუმანი ინატრა.
ს ა რ ქ ი ს მ ე ქ ო ნ ი ა ნ ც ი.
კნიაზ? უკაცრავათ არ ვიყო და, თქვენ, ქართველები, ძალიან ტუტუცები ხართ!... ნატვრაშიაც რომ შნო არა გაქვთ, ტო!... ახარ, ათასი თუმნის მაგიერ, ათასი მილიონი გენატრათ, ის არა სჯობდა?.. რა ზარალი გქონდათ? — ფასი არ გავდიოდა და ვიე...
ო თ ა რ ზ ა რ მ ა ც ა ძ ე.
ჰი, ჰი, რომ არა!... მართლს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა!
გ რ ი გ ო ლ ფ უ ქ ს ა ვ ა ტ ი შ ე ი ლ ი
(ხაჩისას)
შენ, შეილო, ვინა ვკითხავს?... შენ რომ არ მაშენიკობდე ისა სჯობდა?..
ს ა რ ქ ი ს მ ე ქ ო ნ ი ა ნ ც ი (წყებით)

როგორ, კნიაზ?.. რა ვიმაშენიკე?..
გ რ ი გ ო ლ ფ უ ქ ს ა ვ ა ტ ი შ ე ი ლ ი.
როგორ და-ისე... მალ-მალ გვარს რათ იცვლი? — სულ ადრე, გვართ მექონიშვილი იყავ, მას უკან მექონიშვილი დიარქვი და ახლა მექონიანცი გამხდარხარ... ეს იან ცი, რაღა ჩანჩალაა?..
ს ა რ ქ ი ს მ ე ქ ო ნ ი ა ნ ც ი.
ეჰ, კნიაზ!.. მეც არა ვსთქვი, რას ამბობს მეთქი!.. იან ცი იმას ამტკიცებს, რომ სომხის ჯინშიდანა ვარ... მეტი არაფერი... მაგრამ, მე, დავი-დარაბის თავი არა მაქვს... (ოთასს) კნიაზ ფულისას არას მიბრძანებ?..
ო თ ა რ ზ ა რ მ ა ც ა ძ ე.
მამა არ წამიწყდეს, ესლა არა მქონდეს!... და, აი, ბანკი გვეხსნება, მოვიტან და მოგართმევ.
ს ა რ ქ ი ს მ ე ქ ო ნ ი ა ნ ც ი.
ბანკი?!.. დოლოგოსოჩინი?! მგავს თუ, მოუცადე, ჩემი ცალები აქვე დალბება... არა, მე ვხედავ რომ საქმე სასულდო მიხდება... (ოთასს) მშვიდობით, კნიაზ (გადას.)
ო თ ა რ ზ ა რ მ ა ც ა ძ ე.
გიჟია, ე ოხერი?!..
ო. რაფ. ერისთავი.



განათლების ნიშანი არ არის! იმდენი ყმაწვილები ერთ ოთახში რომ შეუმწყვრევიათ, სადაც ხუთი და ექვსი განყოფილება არის და თითო მასწავლებლის მეტი არა ჰყავთ, ყურის გდება არ არის ესეც განათლების ნიშანი არ არის! მასწავლებელს რომ ოცდა ხუთ მანეთს აძლევდნენ, ყველა საგნების სასწავლებლათ, ესე იგი რუსული ენის, რუსული წერის, ქართული ენის, ქართული წერის, არითმეტიკის და ხელსაქმისათვის და ამასაც მოწყობდასავე, ხალისი არ ექნება მასწავლებელს? განათლების ნიშანი არ არის, ყმაწვილების მომავლის გაწყობის მაგიერათ, ვხლავთ რომ იმედს უკლავენ! ეკლესიისა და მრევლის წინამძღოლებიც, რომელნიც ვალდებულნი არიან ღვთისაგანა და კაცისაგანაც რომ ეცადნენ სიყრმი-თვე ჩაუნერგონ ყმაწვილებს თუ სწავლისა და თუ რელიგიური გრძობა, ყმაწვილებს ყურს არ უვდებენ, — რომ ესეც განათლების ნიშანი არ არის! ერთის სიტყვით, იმათ მოქმედებებში რომ ჩაგახედოთ, ცხადია დინაზმით, რომ იმათ განათლება ისე ისმით, როგორც ჩაცმა — დახურვა და საზოგადოების ერთობა ისე ესმით, როგორც უმინო კრება რამოდენიმე პირებისა, და ეკლესია ისე ესმით, როგორც ცარიელი კედლები ხატებით შექმნილი. თორემ, რომ ესოდეთ განათლება, არ მიიქცევენ ყურადღებას თავიანთი შთამომავლობის სწავლის ჩაწვევებას, რომ სიყრმი-თვე გაიგონ იმათ თავიანთი და საზოგადო ვალი და რომ იმათაც თავიანთი შეილები არ დასტოვონ უმცირეებში? თუ რომ ერთობა ესოდეთ, განა არ მოინდობენ ყმაწვილებს რომ სიყრმი-თვე ჩაუნერგონ ერთმანეთის სიყვარული და თანა-შემწყობა, რომ შემდეგში ერთად და თანა-ხმად იმოქმედონ, რომ იმათაც შეილებმაც არ დაარღვიონ ერთმანეთის კავშირი? თუ რომ საზოგადო სიკეთის მსურველნი და შეილების კეთილდღეობის მონატრენი არიან, არ უნდა გაუადვილონ მასწავლებლებს ხალისით შრომა და ერთგულათ ასრულება მათი ვალდებულებებისა? არ უნდა ავუღიანებდნენ ყმაწვილებს, რომ ბევრთნი და სწავლის მოყვარენი იყვნენ და დღე და ღამ არ უნდა ფიქრობდნენ იმათს გაუმჯობესობაზე? როდესაც რომ ამისთანა მიუცილებელი და ყოველად უმთავრესი ვალი კისრზე აწევთ, უნდა უგზო-უკვლოთ აბნიონ იმათი მამა-პაპისაგან კაპიკობით მოგროვებული იმოდენა ძმობის ფულები? განა რათ მოუგროვებია იმოდენა ფულები მათ მომგროვებელს? რათ შეუწირავს ეს ფულები შემომწირველს? იმისთვის რომ ბანკში შეინახეთ და უგზო-უკვლოთ აბნიეთ, და უკოლგებს, საიდგანაც უნდა შემდეგი საზოგადოება, შემდეგი ეკლესია და შემდეგი ძმობა დაიბადოს, მეოთხედსა და მეხუთედსაც ნუ მოახმარებთ?! ძმობა, გამორღი აქედგან, თორემ, თუ საზოგადოებისაგან ამორჩეულ პირებზე თუ ჩვენ საზოგადოების უთავბოლოებაზე, და თუ ეკლესიის და მრევლის წინამძღოლებების მოქმედებებზე მალაპარაკებ, ან გავფიქვლები და ან იმათი უთავბოლო მოქმედებებისაგან დამემართება რამე... ჩამომართება ხელი, დამტოვება პირდაღებული, დაღუნა თავი და გასწია ვერისავენ.

მშვიდობით, ამ მოკლე ხანს მე გიანდლებით ისევე ქუთაისისაკენ; მაგრამ ამას კი მოგახსენებთ, რომ სასიკადლო არ არის თფილისის კათოლიკეების საზოგადოებისა და მისი წინამძღოლებისათვის, რომ, როგორც ეს ჩემი ნაცნობი ამბობს, ამოდენი შეძლებისა და საშუალობის პატრონებს ვერ შეეძლოთ რიგანათ უკოლგების გამართვა.

ქართული კათოლიკე.

რუსეთი

მოსკოვიდან გვცნობებენ ერთს ამბავს, რომელიც რუსულ გაზეთების უკანასკნელ ნომერებშია დაბეჭდილი, რომ პოლიტიკური დანაშაულები ჩაუყენიათ ამ ქალაქში და 8 იანვარს უნდა ყოფილიყო იქაურ სასამართლოში იმის განსამართლება. ბევრს სურდა თურმე ამ საინტერესო პროცესს დასწრებოდნენ, მაგრამ, რადგანაც ბილეთებით უშვებდნენ, ამის გამო მომეტებულ ნაწილმა ვერ აღასრულა თავის სურვილი. ეს კაცი ახლაც ამტკიცებს თურმე, რომ მე ნიშნები არა ვარო, მე სერბიიდან ვარო და მხოლოდ სერბიულ ენაზე ვლაპარაკობო. იმას უთქვამს, რომ ადვოკატი არა მჭირიაო.

დიდი მთავარი ხელმწიფე მემკვიდრე თითქმის სრულიად განთავისუფლებულა იმ ძნელი ავთომოფობიისაგან, რომლის გამოც ის თითქმის ერთი თვე ბრძანდებოდა ლოგონში ჩავარდნილი. ამის გამო ემმარ თებლობის მოამბეში დაბეჭდილია, რომ დღის შემდეგ გაზეთებში მემკვიდრის ავთომოფობაზე ბიულეტენები აღარ იქნება გამოცხადებულიო. ოდესის ქალაქის გამგეობას 12 დეკემბერს გადაუწყვეტია, რომ 3,000 მანეთი გადაეღებოთ, რომელიმე კეთილი საქმისთვისაო და ეს საქმე ხელმწიფე მემკვიდრის მოჩქრის სასსოგრაოთ ჩაეიდინეთო.

იანვარ 4-ს ს. პეტერბურლის წერა-კითხვის კომიტეტის სხდომაზე, ერთს წევრს წაუკითხეს ხალხში წიგნების გამავრცელებელი კომიტეტის მოქმედების ერთი თვის ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ დეკემბრის განმავლობაში ამ კომიტეტს 7,470 წიგნი გაუგზავნია სხვა-და-სხვა სასოფლო უკოლებში, ზოგი მუქთად და ზოგი ნახევარ ფასად. აქვე მოხსენებული იყო, რომ ზოგ სხვა ადგილებშიაც შესდგა ისეთი კომიტეტები და საზოგადოებები, რომელნიც ჩვენსავით ხალხში წიგნების გავრცელებას ცდილობენო; ეს ამბავი ყველას ძლიერ იამათ.

ერთს პეტერბურლის გაზეთში სწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ქალაქის სხვა-და-სხვა მოხელე მაგირდებში საშინლათ განშირდა თავის მოკლავა. მომეტებულ ნაწილათ ეს თავის-მოკლავა სხვა-და-სხვა ოსტატების მაგირდებში იმიტომ ხდებოდა, ამბობს ეს გაზეთი, რომ ხშირათ ძალიან სასტიკად და უმოწყალოდ ეპყრობიან თავიანთი მაგირდებსაო: მუდამ სცემენ, თავში უტყაპუნებენ, ხეირიანათ არც აქმევენ და არც ახურენო და ამის გამო უნუგეზო და სიცოცხლე-მოგებზეული მაგირდები თავს იკლავენო. გაზეთი «ხმის» მე-5 ნომერში მოყვანილია ერთი მაგალითი, რომ ამ მოკლე ხანში ერთ თორმეტი წლის პატარა მაგირდს თავი მოუკლავს იმიტომ, რომ ოსტატი და იმის ცოლი ძლიერ სასტიკად ექცეოდნენ იმას. დროა ამგვარ შემთხვევებს მთავრობამ ყურადღება მიიქციოსო, იწერება ეს გაზეთი.

უცხო ქვეყნები

საფრანკეთი

პარიჟიდან, იანვრის 10.
(«დროების» კორესპონდენტი)

ლუი ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ, მოსპო უკანასკნელი იმედის აჩრდილიც ბონაპარტიელებისათვის. იმპერია მხოლოდ იმპერატორზედ იყო დამოკიდებული. იმპერ-

ტორი აღარ არის, მამასადამე, მოვლო ბოლო ნაპოლეონების მოთხრობასაც...
სამი წლის წინეთ, ამ კაცის სიკვდილი უთუოდ ბევრ შესანიშნავ ცელილებას მოახდენდა ევროპაში; მაგრამ დღეს სულ უბრალო საქმეთ ჩაითვლება ეს შემთხვევა. ბევრ პარიჟელ გაზეთებს, გარდა მოკლე ტელეგრამისა ჩილსპერტიდგან, არა დაუბეჭადეთ რა ამ საგანზედ. ამ ორს უკანასკნელ წელიწადში საფრანგეთმა იმდენი ცრემლი დაღვარა, რომ საქმეა ნაპოლეონისთვის ერთი წვეთიც დარჩენილიყოს ვისმე თვალში...

9 იანვარს ნაიშპერატორალი განემგზავრა ისეთ ქვეყანას, საიდგანაც არ დაბრუნებულა ჯერ არცერთი მოგზაური. ბევრად სჯობდა ნაპოლეონისთვის, რომ ის პრუსიის ტყვეს მოეკლა სედანში, თუმცა კიდევ უფრო უძჯობესი იქნებოდა, რომ სრულიად არ გამოსულიყო თავის დედის მუცლიდგან... ვინ დასთვლის, რამდენს მწუხარებას და უბედურებას ამორდებოდა მამინ ეს მშვენიერი ქვეყანა?!

«ისტორია იქნება ჩემი მსაჯელიო», სთქვა ერთხელ მან. ეს ბევრითა. მაგრამ არც ის არის ნაკლებათ ნამდვილი, რომ ისტორია არ დადგენს მის განსამართლებელ განჩინებას... ნაპოლეონის ხსოვნა საესეა უსაშინელესი პასუხის გებთა წინაშე კაცობრიობისა განა შესაძლებელია, რომ ბულონის, სტრასბურგის, პარიჟის, ყირიმის, იტალიის, ჩინეთის, სირიის, კონსტანტინის, ალგერის, მექსიკის და პრუსიის კამპანის აეტორს ეღიროსო ოდესმე შეგზარება ან დაეწყება? როგორ უშველებელ და საზარელ ადამიანის გვამების მთას და კაცის სისხლის მდინარეს წარმოგიდგენს ეს სახელები! ნამეტურ 1851 და 1870 წლები იქნებიან მიზეზი სამუდამო წყევლისა ნაპოლეონ III მოგონებისა. 1851 წ. ნაპოლეონმა, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომელმაც რესპუბლიკას ერთგულობა შეჰფიცა, 2 დეკემბერს ავახაკურათ უღალატა ხალხს და წართვა მას თავისუფლება, ნაშოგნი საშინელი სახლის ღვრითა და რევოლუციებით. 1870 წ. აუტყხა ომი პრუსიას, რომელიც საფრანგეთზე ბევრათ ჩინებულად იყო საომრად მოწყობილი, მხოლოდ თავის ტახტის გასამაგრებლად. ნაპოლეონი ძლიერ ცხარი ქალაქის მოთამაშე იყო და ეს ხალხი შემოიტანა პოლიტიკაში. მაგრამ ბედი არ მუშაობს ყოველთვის წაღმა; ხან უკუღმაც მოტრიალდება ის! თავმოყვარე ხალხის მმართველების პოლიტიკას არასოდეს კეთილი და სასარგებლო ნაყოფი არ მოუტანია, არა თუ ხალხისათვის, არამედ თითონ მოქმედ პირთათვისაც. ისეთი ხალხის დამცირება, როგორც ფრანკოების ხალხია, შეუძლებელია: დაიღუპა მხოლოდ იმპერია; საფრანგეთი ხელახლად აღდგა და წინ მას ბედნიერი მომავალი უდგას. «ვაი იმის ბედს, ვინც ევროპიელ ომს ასტყეს, რომლის შემდეგ დაფარული არისო», წარმოსთქვა რამდენიმე წლის წინეთ ნაპოლეონმა ოკსერში. ამ სიტყვებით მან თითონ თავის თავს უწინასწამეტყველა ბედი; თითონ თავისი ბედით მოინიშნა სიმციროსი სამარე, რომელზედაც სისხლის ასობებით დაიწერება: ლ უ ი ნ ა პ ო ლ ე ო ნ ს თ ა ე ი ს ს ა მ შ ო ბ ლ ო მ თ ა ე ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ი ა ბ ა რ ა, მ ა ნ უ ლ ა ლ ა ტ ა, ხ ა ლ ხ ს, მ ო ჰ კ ლ ა თ ა ე ი ს უ ფ ლ ე ბ ა».

ამნაირი ვიტიუბა, პატარა ნაპოლეონს კი არა, დიდ ნაპოლეონსაც კარგათ დაშვენდება: როგორც უკანასკნელი, პირველი ნაპოლეონიც საესე იყო ხალხის სისხლითა. ტახტზედ ასასვლელად, ორთავემ ადამიანის გვამების კიბე აიგეს... ამას წინეთ მეტერნიხის მემუარები იპოვნეს, სადაც ერთი შესანიშნავი მუსაფი არის მოყვანილი ნაპოლეონის მეტერ-

ნიხთან. ნაპოლეონი ეუბნება ავსტრიის მიწისტირს: «შესაძლებელია, ჩემი ტახტი დაემხო, მაგრამ კაცობრიობას კი გამოცხვევ სულარში და დავმარხავ!» განა მამინდელი ქვეყანა ცხერის ფარა იყო, რომ ერთი უზომო თავისმოყვარე სარდალი ამის თქმას ბედდებოდა? იტყვის ვინმე, თუ მთლად არა, ჰგავდა კი ძალიან ცხერის ფარასა, მაგრამ უნდა ესთქვათ, რომ არც ჩვენი საუკუნის საზოგადოება გადასხვაფერებულა ისე, რომ დღესაც უარესი საქმეები არ შეეძლოს რომელსამე ავანტურისტსა...

ძველი წელიწადი ერთი ლანძღვითა და წყევლით გაისტუმრეს ყურნალებმა. საკვირველია, რომ სრულიად არ ეტყობოდა, პარიჟში დღესასწაულები იყო, თუ უბრალო დღეები. ანკი, რა უნდა შეამჩნიოთ იმისთანა ქალაქს, სადაც ორი მილიონი და ას ორმოცდა ათასი (2,150,000) მცხოვრებია. და გარეშე ყოველის განსხვავებულის შემთხვევისაც, ნიადგ გასაოცარი მოძრაობა და სიცოცხლე აქვს. საზოგადოება ელოდა, რომ ახალი წელიწადი ამინსტიას მიიწ მოიტანდა, მაგრამ ამო იყო ეს სასოება! ჯერ დღემდე კიდევ ხშირათ ატუსალებდენ ისეთ პირებს, რომელთაც კომუნაში მონაწილეობის მიღებას აბრალდებდნენ. ერთი რალო მუშა, რომელიც გელდამულათ მუშაობდა ფაბრიკაზედ, თითონ დღესასწაულებში დაიჭირეს და ჩასვეს საპყრობილოში სანამ ის დამწყვედელი ჰყავდათ პოლიციისაში, ორი პატარა შვილი შიმშილით დაეხრცა და ცოლი გაუფიცდა ამ საბრალოს! იმ დროს უტიერი, უთუოდ, სადმე «დობლომატურ სადლის» შეექცეოდა თავის მინისტრები-თურთ. ამ შემთხვევამ ერთობ აღძრა საზოგადოების გულმტკინეულობა. გაზეთებმა ხელის-მოწერა გახსნეს «დასჯილების შეილებისათვის.» ისე საყოველთაო იყო თანაგრძობა ამ კეთილ საქმეში, რომ ბავშვებიც არ დარჩენილან უმონაწილოთ; მათაც შესწირეს სხვაგვარი საზოგადო გაჭირებას. «რაპველში» შემდეგი წიგნი იყო დაბეჭდილი ორი პატარა ყმაწვილისაგან:

«მოწყალეო ხელმწიფე!»
ჩვენ გვიტყვას მამამ, რომ საზალო დასჯილების შედეგა ძალიან უბედური არიანო. მე და ჩემი პატარა და ბედნიერად გოგოთ ჩვენს თავს, რომ ვაქვს შემთხვევა მძივრ სანუქაში ვუღვსო ასალი წლისთავს ჩვენს დახარულ ძმებსა და დებსა. გიგზავნით ამსთანავე რამდენსამე ფულსა.»
ლუისენ ჰ., უანნა ჰ.

თქვენ იცით, რომ პალატამ ოცდა ათი კაცი დანიშნა ახალი პროეტის შესადგენად. არაინ და არაფერი არ ყოფილა ჯერ, ვგონებ, ისე სასაცილოთ და სამახაროთ აღებულო, როგორც ეს «კომისია ოცდა ათისა». ამ საგანზედ ლამაზათ იმახილა ერთმა პარიჟულმა გაზეთმა: «ოდესმე ოცდაათი წლის ომი იყო, ოცდაათი სამღველოთ კრება, ოცდაათი ტირანი; ეხლა გყავს «კომისია ოცდაათისა». ოცდა ათის წლის ომსა გუქავად აღოლფი გამოუჩნდა; ოცდა ათის კრებას—მარტინ ლუტერი და ოცდაათ ტირანს ათინამ ტრაზიბელი უბოვნა და განთავისუფლა თავი; ეინლა ჰყავს «ოცდაათის კომისიას?» უ. ბატბი, აღრინდელი რესპუბლიკელი და ეხლა მონარხის მომხრე მართლა, რომ ახირებული საქმეა! მონარხიელები რესპუბლიკისათვის პროეტს აღდგენ. ეს იმას ჰგავს, რომ რომელიმე ჩვენი ეპისკოპოზი ურების სარწმუნოების სასარგებლოთ აქადაგოთ, ან ურის ხანამი ქრისტიანობის გასაგრცელებლად დანიშნოთ სადმე! გარდა იმისა, რომ მათი პროეტის მიღება რესპუბლიკის დამახინჯება



იქნება, განა პატიოსნება არის თითონ ამ პი-
რებისაგან ისეთი საქმისათვის ხელის მოკიდე-
ბა და შრომა, რომელსაც არ თანაუგრძნო-
ბენ? რას იტყოდნენ მონარხივლები, რომ
ლუი ბლანს, ვიქტორ ჰუგოს, ედგარ კონეს,
ლონონ გამბეტს მონარხიული კონსტიტუციის
შედგენა მიეღოთ თავის თავზე?!. რასაკვირ-
ველია, მათს ლანძღვასა და გინებას დასასრუ-
ლი აღარ ექნებოდა!..

იმ ხუთმეტ დღეს, როდესაც ვერსალის
ნაციონალურ კრებას შეწყვეტილი ჰქონდა
სხდომა, ყველგან მშვიდობიანობა იყო, სა-
ზოგადოება არ ღელავდა და ბირჟაზედ კურ-
სი აიწია. მაგრამ რამ თვის, პალატი ხელ-
ახლავ გაისხნა და ვერსალის კონსპირატო-
რები არ მოუსვენებენ რესპუბლიკას ძირის
თხრას!

გუშინ ორღენის ეპისკოპოსმა, დიუპან-
ლუმ, არ დაზოგა თავისი მჭივრ-მეტყველე-
ბა, ოღონდ რომ სახალხო განათლების მინი-
სტერის პროექტი გაეშეშებინა. ეპისკოპოსი
ამტკიცებდა, რომ სამღვდლოებას უთუოდ
უნდა ჰქონდეს მონაწილეობა ახალი თაობის
აღზრდაში, რომ საღმრთოების და სახელ-
მწიფოს ერთმანეთზედ მოშორება მავნებელი
და ზნეობის დამამკირებელი არისო. უკანას-
კნელად ძველმა იესუიტმა ერთობ დაგვიანე-
ბული აზრით დასრულა თავისი საუბარი: «სა-
ფრანგეთი ავად არის და მხოლოდ ამ მცნე-
ბაში ნახავს ის განკურნებას.» და ჩამოთვლა
ათი მცნების ტექსტი. პალატამ სიცილი ვერ
შეიმარა ამ დროს. ეპისკოპოსმა დასძინა,
რომ «განათლებულ ქვეყნებში სამღვდლო-
ებას დიდი გავლენა აქვს.» შელხერმა, რომ-
ელიც თითონ სასულიერო წოდებისაა, უპა-
სუხა: «განათლებულ ქვეყნებში, სამღვდ-
ლოებას არავითარი მნიშვნელობა და ადგი-
ლი არა აქვს ხალხის ცხოვრებაში, მაგ. ინ-
გლისში, ამერიკაში.» დიუპანლუმ უკეთესი სა-
ბუთი ვერ მოიხსნა ერთბაშად და შეჰყვილა: «რა
მენაღვლება! ჩვენ ფრანკუზები ვართ და
გესურს ფრანკუზებზედ დერჩეთო!» თითქოს
ჯიუტობა და საუკუნის უკან ჩამორჩენა-რო-
მელიმე ხალხის ღირსება იყოს!

«სიეკლში» რამდენიმე შელხერის სტატია
იყო დაბეჭდილი: «ქრისტიანობა და საკუთ-
რება», სადაც ეს წარჩინებული პუბლიცისტი
ამტკიცებს, რომ საკუთრება ქრისტიანობის
საწინააღმდეგო წესდებულება არის. ეს თხზუ-
ლება საესეა საღმრთო წერილის სიტყვებით.
ოდესმე, თავისუფალს დროს, იმედი მაქვს.
«დროების» მკითხველებთან მოვილაპარაკებ
ამ ახირებულ თხზულებაზე.

ვინ წარმოიდგენდა, რომ რომის პაპი ანა-
ირ შესანიშნავ საქმეს გამოიჩინდა? პიომ გა-
მოაცხადა, რომ «იესო ქრისტე არისტოკრა-
ტის შთამავლობისა იყო და მალაღი წო-
დება ძრიელ უყვარდა მასაო.» რამდენათ ის-
ტორია მოგვიტოვებს, ესრეთი აზრი წმინდა
მამისა, წმინდა მოჩინებას რომ ეტყვიან, ის არის
ყველა მისი მოწაფეები, გარდა საელესა, რომ
მელმანც ბევრი ენება მოუტანა ქრისტეს სწავ-
ლას, ნაცნობები და მეგობრები უბრალო ხალ-
ხიდან იყვნენ და არა არისტოკრატები. ერ-
თმა გაზეთმა რჩევა მისცა ამ საგანზედ პაპს:
«რომში იესო მუშის» ეკლესია არის, ეხ-
ლა «იესო მარკისის» ეკლესია, ამენეთ
ბარემო».

ამ დღეებში ლიტრემ, გამოჩენილმა ჰო-
ზიტისებმა, დასრულა თავისი «ფრანკუზუ-
ლი ენის ლექსიკონი.» თურმე 24 წელიწადს

შრომობდა ლიტრემ ამ თხზულებისათვის. რო-
გორი სიმტკიცის და მოთმინების მაგალითია!
კარგი იქნებოდა ახალი სწავლებლები
ჩვენში 24 დღეს მინც იმუშაებდნენ იმ
საგანზედ, რაზედაც ჰსურთ სწერონ. მაშინ,
რასაკვირველია, ზოგიერთი ბროშურები არ
ედირებოდა ამ სოფლის ნახვას..

ახალი წლისათვის ერთმა პარიჟელმა გავ-
თმა მართლა რომ საკადრისი ფეშქაში მიარ-
თეა ზოგიერ შესანიშნავ პოლიტიკურ პი-
რებას. როგორც მახვილი ხარაქტერისტიკის
ნიმუშა, მოვიყვან აქ:

- «ყველა ბატონს შესაფერი პატივი!»
- უ. ტ ი ე რ ს,—მომავალი წლის აღმანახი
და ერთი ეკზემპლარი რიგეს კონსტიტუცია,
განხილული, გასწორებული და შემოკლებუ-
ლი თითონ მისგან.
- უ. ქ უ ლ ზ ა ე რ ს—უმანკობის გვირ-
გინი თავისი გაწყობილობითა.
- უ. გ ე ნ ე რ ა ლ ტ რ ო შ უ ს—ერთი პლა-
ნი... პარიჟისა.
- უ. დ ი უ მ ა ს—ერთი გოდორი საშინელე-
ბა, გამოხვეული დედაკაცის ტყავში.
- უ. ბ ი ს მ ა რ კ ს—დღიური ნაპოლონ პი-
რეგლისა, დაწერილი წმ. ელენეს კუნძულზედ.
- ი მ ვ ე რ ი ა ლ ი ს ტ ე ბ ს—ერთი სენტ-არ-
ნო (ესლა ერთი კი არა, ხუთასი სენტ-არნოც
ვერას უშველის!)

- ლ ე გ ი ტ ი ს ტ ე ბ ს—ერთი რაშელიე.
- ო რ ლ ე ა ნ ი ს ტ ე ბ ს—ერთი ლაჭიტი.
- ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს-ოცი წლის მუყდროება,
მოთმინება, შრომა და თავისუფლება.
- გ ე რ მ ა ნ ი ა ს—ერთი მეოთხე სექტემბე-
რი.»

დ. მაქვლამე.
ზარევი.

სამართალი

ნოვოსელსკისა და ნიკოლაძის საქმე

გუშინ, იანვრის 18-ს, თფილისის სამოსა-
მართლო პალატამ განიხილა სამოქალაქო
საქმე, უფ. ნიკოლაძისა და ნოვოსელსკის
შუა, ტყიბულის ქვა-ნახშირის თაობაზე, საქ-
მე, რომელმანც ამ უკანასკნელ დროს ჩვე-
ნი საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

პალატის სხდომას შეადგენდა: თავს-მჯდო-
მარის ამხანაგი უფ. პესჩუროვი და
ორი წერი—ან დრონიკოვი და სტე-
ფანოვი (იგივე საქმის მომხსენებელი).
ნოვოსელსკის მხრით იყო უფ. რეიტე-
რი; ნიკოლაძის მხრით—უფ. დანილო-
ვი და თეთიან. ნ. ნიკოლაძე.

თუმცა ჩვენ მკითხველებს უნდა ახსოვდეთ
ამ საქმის გარემოება, მაგრამ, მთელი საქმის
ნათლად წარმოსადგენათ, საჭიროთ ვრაცხთ
კიდევ მოკლეთ განვიგებოთ:

1869 წლის 19 დეკემბერს ტყიბულის ქვა-
ნახშირის მადნის პატრონებმა, აგიაშვილებმა,
კანდელაკებმა და ეკატერინა გამრეკლისამ,
შეკრეს პირობა უფ. ნოვოსელსკისთან, ჩვენ
ვალდებულნი ვართ მოგვიღოთ ჩვენი ტყი-
ბულის მამული და თქვენ, ე. ი. უფ. ნო-
ვოსელსკი, აგრეთვე მოვალე ხართ იყოლოთ
ჩვენგან 80,000 მანეთად ეს მამული, და
ორთვე მხარემ შევადგინოთ ნასყიდობის წე-
რილიო წლისა და ნახევრის განმავლობაში,
ესე იგი 19 ივნისამდე 1871 წ. ამავე პირო-
ბის ძალითვე უფ. ნოვოსელსკიმ 12,000 მა-
ნეთი ბეი წინათვე მისცა მადნის მეპატრონე-
ებს, და უკეთუ დანიშნულ დროზე გამყი-
დებულნი უარს იტყოდნენ ნასყიდობის შეს-
რულებასზე, მაშინ იმათ ეს ბეის ფული უნდა
დაებრუნებიათ და ამას გარდა ჯარიმა 40 000
მან. გადახდათ ნოვოსელსკის სასარგებ-
ლოთ.

დანიშნულ ვადაზე, ე. ი. 1871 წლის
19 ივნისს, მოვიდა ქუთაისში უფ. პოლტა-
რაკი, ნოვოსელსკის ექილი, რომელსაც
უნდა შეესრულებინა გამოამყიდველბთან ნა-

სყიდობის წერილი. მაგრამ როგორც პოლ-
ტარაკი ამტკიცებს, ორმა გამოამყიდველბა-
განმა, თთ. მიხაილ და ლევან აგიაშვილებმა
უარი სთქვეს ნასყიდობის წერილის შეკერი-
სა და ამანართ გამოამყიდველბმა დაარღვი-
ეს პირობაო.

ამ საფუძვლის გამო, ნოვოსელსკის ექი-
ლი, უფ. პოლტარაკი ქუთაისის ოლქის
სასამართლოში შეტანილ საჩივარში და იმი-
სივე ექილი უფ. რეიტერი თხოულობ-
დნენ, რომ ტყიბულის მეპატრონებს გადა-
ხდეს: 1) ბეის ფულის, 12 ათასი მანეთი, 2)
ჯარიმის ფული 40,000 მანეთი და 3) ამ
ვალში ტყიბულის მამულმა უნდა აგოს პა-
სუხიო. აგიაშვილებისა და კანდელაკების ექ-
ილი, უფ. ნიკოლაძე, თავის მხრით ამტკი-
ცებდა, რომ პირობა პირველად ნოვოსელს-
კიმ დაარღვია და არა ჩემმა მრწამსებლებ-
მაო: ისეთს დროს ჩამოვიდა ის ქუთაისში,
(ვადის წინაღვეს) როდესაც ნასყიდობის წე-
რილის შედგენა ყოველად შეუძლებელი
იყო, ნასყიდობის წერილის შედგენა თი-
თონ ნოვოსელსკისათვის არ იყო სასარგებ-
ლო, რადგან მმართველობისაგან იმ დროს
კონცესიას ელოდა და ვერ მიიღო; ორი
აგიაშვილი (მიხაილ და ლევან) სრულებით
უარს არ ამბობდნენ ნასყიდობის წერილის
ხელის-მოწერასზედაო, ისინი მხოლოდ იმას
თხოულობდნენ, რომ ამ წერილში გარ-
კვევით ყოფილიყო გამოცხადებული, რომ
იმათ ტყიბულში ერთი მეთორმეტე ნაწილი
ეკუთვნის და ეს გარემოება სრულებით არ
უშლიდა ნასყიდობის წერილის შედგენას,
რადგანაც სხვები ყველანი თანახმანი იყვენ-
ნო. და რადგან უარი მართა ვადის გასე-
ლის შემდეგ იყო ნათქვამი, ეს შარათაც
რომ ჩითვალას, პირობის დაარღვევას მინც
არ მოასწავებსო. ამ საბუთების გამო, უფ.
ნიკოლაძე სთხოვდა ქუთაისის ოლქის სასა-
მართლოს, რომ ნოვოსელსკისათვის უარი
ეთქვათ ბეისა და ჯარიმის ფულების გადა-
ხდევინებაზე. მაგრამ ოლქის სასამართლომ
ეს საფუძვლები არ მიიღო მხედველობაში
და ისე გადაწყვიტა, როგორც ნოვოსელსკის
ექილები თხოულობდნენ.

უფ. ნიკოლაძემ ეს საქმე თფილისის სა-
მოსამართლო პალატაში გადაიტანა, აველ-
ლოციით, სადაც როგორც ზევით ვთქვით,
გუშინ განიხილეს. არც ერთისა და არც მე-
ორეს მხრით აქ ახალი თითქმის არა თქმუ-
ლა რა, გარდა იმისა, რაც ქუთაისის ოლ-
ქის სასამართლოში და თვით ქალაქებში
იყო მოხსენებული.

უფ. რეიტერმა თავის სტყვა იმითდაიწყო,
რომნიკოლაძე ჩემ რწმუნებელს შეურაცყოფას
აყენებსო და აველაციამი ისეთს აზრს ავრცელე
ნოვოსელსკისზედ, რომელიც კეთილ სა-
ხელსა და პატივს აწებებს; ეს თვით
ქართულ გაზეთშიაც გამოცხადებული იყო-
ვო, სადაც ურჩევდნენ ტყიბულის მეპა-
ტრონებს, რომ ამ უხსოვარეს მიმართ
თქვენ საკუთრებასო, თორემ თუ ამათ აქ
ფეხი ჩაიდგეს, ჩვენ დაიღუპებითო. რაცა
თვით საქმის შეხება, ამაზედ უფ. რეიტერმა
სთქვა, რომ, ტყიბულის მეპატრონებს, რასა-
კვირველია, არ უნდადათ მიეყიდნათ ნოვო-
სელსკისათვის თავის მამული, რადგან იმდროს
იმათ სხვა კაცს (ნიკოლაძეს) უფრო ძვირათ
(215,000 მანეთად) მიყიდეს იგივე მამულიო,
და მიტამ ნოვოსელსკისთან ნასყიდობის პი-
რობის შეკრა იმათთვის არც შესაძლო იყო,
და არც სასარგებლო. ეს იყო უმთავრესი
საფუძველი უფ. ნოვოსელსკის ექილისა.

დანილოვი თავის მხრით ამტკიცებდა, რომ
ნასყიდობის წერილის შეუკერებლობა თვით
ნოვოსელსკიმ გააწელო. რადგან იმას იმ
დროსთვის მმართველობისაგან ტყიბულის
შემუშავების კონცესია არ ჰქონდა მიღებული,
ამის გამო, უტყველოა, იმისთვის ამ მამულის
შეწენა რამდენათ სასარგებლო არ იქნებო-
დაო. ეს გარემოება თვით იმრწმუნებულების ქა-
ლადიდაც ცხადად სჩანს, რომელიც ნო-
ვოსელსკიმ პოლტარაკის მისცაო. ნიკო-
ლაძემ ამას კიდევ ის გარემოება დაუმატა,
რომ ნოვოსელსკის ექილმა 21 ივლისს ნას-
ყიდობის მიღებაზე უარი გამოაცხადა და 30
ოქტომბერს საჩივარიც შეიტანაო, და მე-
პატრონებმა კი მე დეკემბრის თვეში მომ-
ყიდეს მამულიო, ესე იგი ახალი პირობა
ნოვოსელსკისთან დაწესებული ვადის შემ-
დგომ შეიკრა და არა ამ ვადაში; მაშასადამე
მეპატრონებს შეეძლოთ (და კიდევ უნდა-
დათ შეეკრათ ნოვოსელსკისთან ნასყიდობის
წერილი, თუ რომ თვითონ იმას არ დაეხ-
ლართა ეს საქმეო.

ამ საფუძველებისა და დამტკიცებების მო-
ყვანით, ორივე მხარემ შესწყვიტა მოლა-

პარაკება და მოსამართლეები მეორე ოთხნე-
გავიდნენ განჩინების შესადგენად. თითქმი
ერთი საათის მოლოდინის შემდგომ სასამარ-
თლოს წევრები გამოვიდნენ და თავსმჯდომა-
რემ წაიკითხა განჩინება, რომლის ძალითაც
«ტყიბულის მეპატრონეებს უნ-
და გადახდეს მხოლოდ 12,000 მა-
ნეთი ბეის ფული; ჯარიმის ფუ-
ლის (40,000 მან.) გადახდევინე-
ბაზე უფ. ნოვოსელსკის უარი
უთხრეს; სასამართლოს ხარჯი ერთი მე-
სამედი უფ. ნიკოლაძეს გადახდებოდა და ორი
მესამედი—ნოვოსელსკისა.»

ამ საქმეზე კიდევ მეორე საქმე იყო მობ-
მული; ქუთაისის ოლქის სასამართლოს ეთხოვა
პალატისთვის, უფ. ნიკოლაძე პასუხისგებაში
მიეტყუა იმ ცხარე და შეურაცხყოფელი
სიტყვებისათვის, რომელნიც უხმარა ნიკო-
ლაძეს თავის აველაციამიო, და რომელნიც
ქუთაისის ოლქის სასამართლოსა და მის წევ-
რების ღირსებას, კეთილს სახელს და პატი-
ოსნებას ამცირებენო. ამის თაობაზე უ. ნიკო-
ლაძემ პალატაში სთქვა, რომ თეთ პალატა
პაოებს, რომ ქუთაისის ოლქის სასამართ-
ლოს წევრების კეთილი სახელი, ღირსება და
პატიოსნება აღიდგინება ჩემი პასუხისგებაში
მიცემით, იყოს ნება პალატისაო.

პალატამ გადაწყვიტა, რომ ნიკოლაძის
აველაციის პირი პალატის პროკურორს გადას-
ცეს ნიკოლაძის პასუხის-გებაში მისაცემათ
იმ შეურაცხყოფისთვის, რომელიც იმას ქუ-
თაისის ოლქის სასამართლოსთვის მიუყე-
ნებია.

ნარკვი

შოლშის ერთს ქალაქში ერთი გასათხოვარა
ქალი მოკვდა და დახმუნულ დღეს კვლასაში
გაუჩვენებათ. პარაკლის რომ ათავებდნენ და ის
იყო კვლასაშიადამ კუბოს გამოტანას აზრებდნენ
დასამანათ, ამ დროს შეჩინეს თურმე, რომ მკვ-
დარი გაიხმრა კუბოში. იქ დახმუნულ ხალხი ძაღვან
შეშინდა თურმე და ზოგიერთები გაჭოთ გაქტნენ.
ცოტა ხანს შემდეგ, ქალი ხელ-ხელა წამოდაც კუ-
ბოში და იქით-აქით დაწყო თურმე ცქერა. ზო-
ლას ის ამოიყვანეს კუბოში და შინ წაუყვანეს.
მაგრამ ესაღაც ძაღვან ავით არისო, ამბობენ.

ამერიკაში ამას წინათ ერთი მოსურველი ფრან-
ცუში მოკვდა, რომელსაც სწამდა, რომ ადამი-
ანის სული, სსუელის სიკვდილის შემდეგ, რომ-
ლისამე პირუტყვის გვამში გადადისო. ეს აზრი
მოუღეს მის საცოცხლეში მოსვენებას არ ძალე-
და ამ კაცს: ის დაწმუნებული იყო თურმე,
რომ ჩემი სული ცხენის გვამში გადავაო და ვინ
იღის, რამდენ წაჯვარს გამოივლისო. მოუღი
თავის ქონება ამ კაცმა ერთს გამოიხიანს უჩივრმა,
რომელსაც ცხენის რეინის გზა აქვს ნიუ-იორკში
გამართული; უახდრმა იმ განზრახვით, რომ ამ
ფულებს შემწეობით ვარჯთ მოკვდიოთ ცხენუ-
სო. მაგრამ ნათესავებმა იხილეს, რომ, ანდრეის
დაწმუნებულს, ის გიჟი იყოო. სასამართლომ
გადაწყვიტა, რომ, რადგან თვით ბრძენ შიფა-
გოსანაც სწამდა ადამიანის სულის პირუტყვი
გადასვლავო და ამგვარი აზრი სიგაიუს ნიშანი არ
არისო, ამიტომ ანდრეის არ დაირღვეო.